ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №94347

ნომერი: AR132387

თარიღი : 22.03.2012

გაცემის თარიღი : 29.03.2012

გაცნობის თარიღი : 29.03.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან., (ნაკვეთი N1/19) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კობახიძე პ/ნ 01026002441
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. კორ. 17 ბ. 12

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია მოცემული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: #01.13.02.001.019) გამოყენებული იქნეს დროებითი ავტოსადგომის ფუნქციით იმ პირობით, რომ არ განხორციელდება ტერიტორიის შემოღობვა. ამასთანავე, გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული საკადასტრო ერთეული უშუალოდ ემიჯნება იმ სატრანსპორტო კვანძს, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება შესაძლოა უახლოეს მომავალში დაიწყოს, მოცემული ტერიტორიით სარგებლობა შესაძლებელია დროებით, ყოველგვარი მშენებლობის უფლების გარეშე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge